ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №37

2014 წლის 19 ნოემბერი

ქ. გორი

„ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციიო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილების 81-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ ქ.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №32 დადგენილების სამართლებრივ ნორმებში და ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაპუნა კობერიძე**